## მოკლე მიმოხილვა

WORLD BANK GROUP

GEORGIA
Public Finance Review




# ""საქართველოს საჯარო ფინანსების მიმოხილვა: ფისკალური პოლიტიკა ინკლუზიური ზრდისთვის"
# მდგრადი განვითარების გზამკვლევი

მსოფლიო ბანკის უახლესი პუბლიკაცია - "საქართველოს საჯარო ფინანსების მიმოხილვა: ფისკალური პოლიტიკა ინკლუზიური ზრდისთვის" საქართველოს ფისკალური პოლიტიკის ჩარჩოს შესახებ ყოვლისმომცველ ანალიზს იძლევა. ის პოლიტიკის შემმუშავებლებს და დაინტერესებულ მხარეებს ქმედით რეკომენდაციებს სთავაზობს ფისკალური პოლიტიკის როლის გასაძლიერებლად ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის განმტკიცებაში, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებაში და ქვეყნის გრძელვადიანი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში.

ანგარიში ასევე ხაზს უსვამს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა განათლება და ინფრასტრუქტურა, სადაც შესაძლებელია სახელმწიფო ხარჯების ეფექტიანობის გაუმჯობესება.

რეკომენდაციები სტრუქტურირებულია ორი მნიშვნელოვანი რეფორმის გარშემო:

1. პირველია საგადასახადო რეფორმების სპეციალური პაკეტი, რომელიც შემუშავებულია სამმაგი სარგებლის მიღწევის მიზნით, ესენია: ეკონომიკის შემდგომი ფორმალიზების ხელშეწყობა, ეკონომიკური ზრდის ამაღლება და სათბური აირების ემისიის შემცირება.
2. მეორეა განათლების სფეროს რეფორმები, რომელთა მიზანია განათლების სისტემაში ეფექტიანობის, ხარისხის და თანასწორობის გაუმჯობესება ადამიანური კაპიტალის გასაძლიერებლად და პროდუქტიულობის გრძელვადიანი ზრდის მხარდასაჭერად.

**ძირითადი გზავნილები**

- **ფისკალური პოლიტიკა, როგორც ინკლუზიური ზრდის მამოძრავებელი ძალა:** საქართველოს ფისკალურ სისტემას ახასიათებს ძლიერი გადამანაწილებელი ზემოქმედება, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს სიღარიბეს და უთანასწორობას.

- **ახლად წარმოქმნილ რისკებზე და სამომავლო გამოწვევებზე რეაგირება:** სახელმწიფო საწარმოებიდან მომდინარე ფისკალური რისკები, კლიმატის ცვლილება და მოსახლეობის დაბერება მზარდ გამოწვევებად მიიჩნევა, რომლებიც პროაქტიურ მართვას მოითხოვს.
- **საგადასახადო სისტემის გაძლიერება ეფექტიანობისა და თანასწორობისთვის:** ძლიერი საგადასახადო სისტემის მიუხედავად, რეკომენდებულია რეფორმები ეფექტიანობის, პროგრესულობის და მდგრადობის ასამაღლებლად. მათ შორისაა, საგადასახადო სისტემის ფოკუსირება არაპირდაპირი გადასახადების, შრომის არასწორ დაბეგვრაზე რეაგირების, ქონების დაბეგვრის გაძლიერების და უარყოფითი გარე ფაქტორების, მაგალითად, ნახშირორჟანგის ემისიის, შემცირების მიმართულებით.
- **სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაცია უკეთესი საგანმანათლებლო შედეგისთვის:** განათლების არსებული რესურსების სწორად და ეფექტურად მართვით, საქართველოს აქვს ევროკავშირის ქვეყნების მსგავსი საგანმანათლებლო შედეგების მიღწევის პოტენციალი. ანგარიშის თანახმად, რესურსების ეფექტურად გამოყენების შემთხვევაში, საქართველოს შეუძლია სასწავლო წლებთან გათანაბრებული აკადემიური შედეგების 20 პროცენტით გაუმჯობესება დამატებითი დანახარჯების გარეშე. რეკომენდაციები მოიცავს მართვის გაძლიერებას, ხელმისაწვდომობის გაზრდას, ხარისხის ამაღლებას ყველა საფეხურზე და რესურსების განაწილების ოპტიმიზაციას.

ანგარიში წარმოადგენს არსებით რესურსს პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების წასახალისებლად და მოქალაქეების კეთილდღეობის ასამაღლებლად.